# განათლების მიღების შესაძლებლობები პენიტენციურ დაწესებულებებში - გამოწვევები და პრობლემები

**ჟანა ბეღელაძე**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საჯარო სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ერემაძე

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2024**

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად

ჟანა ბეღელაძე

25.06.2024

# აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში განხილულია განათლების მიღების შესაძლებლობები პენიტენციურ დაწესებულებებში, გამოწვევები და პრობლემები.

უმაღლესი განათლების, როგორც დამნაშავისთვის ახალი შესაძლებლობის მინიჭების საკითხი, ყოველთვის აქტუალურია, როგორც თავად მსჯავრდებულის გამოსწორებისა და მომავლის დაგეგმვისთვის, ისე საზოგადოებისთვის, რომელსაც სურს, რომ იცხოვრონ მშვიდობიან და უსაფრთხო გარემოში. საკითხის სკვლევისთვის კი მიმოხილულია სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურა.

ნაშრომში განმარტებულია უმაღლესი განათლების მნიშვნელობა მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის[1] წარმატებულად განხორციელებისთვის, ხოლო უმაღლესი განათლების, როგორც ძირითადი უფლების მინიჭების საკითხის წარმოსაჩენად დეტალურადაა განმარტებული პიროვნების თავისუფალი განვითარებისა და ზოგადად განათლების უფლება და მათი ურთიერთკვეთა მსჯავრდებულთა უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებით.

განხორციელებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ მსჯავრდებულებს უმაღლესი განათლება ორიენტირებულია არა მხოლოდ პროფესიულ წინსვლაზე, ასევე მათ პიროვნულ ჩამოყალიბებაზე, ამცირებს რეციდივს და ხელს უწყობს მსჯავრდებულთა ეკონომიკურ მდგრადობას გათავისუფლების შემდეგ.

ნაშრომში მსჯავრდებულთა უმაღლესი განათლების წარმოჩენისა და მნიშვნელობის გამოკვეთისთვის მიმოხილულია თავად სახელმწიფის როლი და ვალდებულება, რომელიც მას ანიჭებს პასუხისმგებლობას, უზრუნველყოს უმაღლესი განათლების უფლება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულებს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ეთმობა მსჯავრდებულთა უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობას, მათ გაანალიზებასა და პრობლემური საკითხების წარმოჩენას. აღნიშნული ხარვეზები ერთი მხრივ გამომდინარეობს როგორც

[1] ,,რე'' - არის წინსართი, რომელიც ლათინური ენიდან მომდინარეობს და აღნიშნავს გამეორებას, აღდგენას. ხოლო ,,სოციალიზაცია'' - კი გულისხმობს პიროვნების ჩამოყალიბებას და მის მიერ სხვადასხვა სოციო-კულუტურული ღირებულებების ათვისებას.

კანონიდან, ისე პრაქტიკული საქმიანობიდან. ამ მხრივ მიმოხილულია სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია მსჯავრდებულთა უმაღლესი განათლების მიღების მდგომარეობაზე.

მსჯავრდებულთა უმაღლესი განათლების უფლების მინიჭებისთვის, განხილულია საერთაშორისო სტანდარტები და მიმოხულია რამდენიმე ქვეყნის პრაქტიკული ანალიზი, რაც საერთო ჯამში ადგენს თითოეული ქვეყნისთვის განსახორციელებელ მითითებებს.

გარდა საერთაშორისო სტანდარტებისა, საინტერესოა სახალხო დამცველის ანგარიშები, რომლებიც ქმნის საერთო სურათს, წლების განმავლობაში სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებული მდგომარეობის შესახებ, უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებით. კერძოდ, იცვლება თუ არა მდგომარეობა სასიკეთოდ უმაღლესი განათლების უზრუნველყოფის საკითხში.

ნაშრომის მიზანია,  ერთის მხრივ დაგვანახოს ზოგადად განათლებისა და განსაკუთრებით უმაღლესი განათლების ეფექტურობა მსჯავრდებულის რესოციალიზაციისა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებაზე, წარმოაჩინოს მისი დადებითი შედეგები სახელმწიფოს პოლიტიკაზე და მეორეს მხრივ წარმოაჩინოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული ხარვეზები.

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ბოლოს კი შემოთავაზებულია რეკომენდაციები, რომელიც ორიენტირებულია არსებული პრობლემების აღმოფხვრისა და პრაქტიკის გამოსწორებაზე.

საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევების მიხედვით შესაძლოა შემდეგი დასკვნის გაკეთება: სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, სადაც მსჯავრდებულებს შეზღუდული აქვთ უფლებები, მნიშვნელოვანია მიეცეს განათლების უფლება, რომლის მიზანი მსჯავრდებულის რესოციალიზაცია, მსჯავრდებულის ეკონომიკური სტაბილურობა და რეციდივის შემცირებაა. მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებულთა განათლებით უზრუნველყოფა გარკვეულ ხარჯებათაანაა დაკავშირებული, მისი შედეგები დადებითი პოტენციალის მატარებელია და უფრო ფართომასშტაბიან შედეგებზეა ორიენტირებული.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** რესოციალიზაცია, რეციდივი, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება.

# ABSTRACT

In this master's thesis, opportunities for education in penitentiary institutions, challenges and problems are discussed.

The issue of higher education as a new opportunity for the offender is always relevant, both for the correction and future planning of the convict himself, and for the society, who wants live in a peaceful and safe environment. Various scientific literatures are reviewed for the study of the issue.

The paper explains the importance of higher education for the successful resocialization of convicts, and in order to present the issue of granting higher education as a basic right, the right to free development of the individual and education in general and their intersection with the higher education of convicts are explained in detail.

As a result of the conducted studies, it was established that higher education for convicts is focused not only on professional advancement, but also on their personal development, reduces recidivism and promotes the economic sustainability of convicts after release.

In order to highlight the importance of the higher education of convicts, the paper reviews the role of the government itself and the obligation that gives it the responsibility to ensure the right to higher education to the convicts in the penitentiary institution.

Special importance is given to the legislation related to the higher education of convicts, their analysis and presentation of problematic issues. On the one hand, the mentioned shortcomings arise both from the law and from practical activities. In this regard, the information provided by the Special Penitentiary Service on the state of receiving higher education of convicts is reviewed.

In order to grant the convicts the right to higher education, the international standards are discussed and the practical analysis of several countries is presented, which in general establishes the guidelines to be implemented for each country.

Apart from the international standards, the Public Defender's reports are interesting, which create a general picture of the situation in the penitentiary institution over the years, in

relation to higher education. In particular, is the situation changing for the better in terms of providing higher education.

The aim of the paper is to show the effectiveness of education in general and higher education in particular on the resocialization of convicts and prevention of new crimes, to show its positive results on the state policy and on the other hand to show the gaps in legislation and practice.

At the end of the presented master's thesis, recommendations are offered, which are focused on the elimination of existing problems and the correction of practice.

According to the research conducted in relation to the research question, the following conclusion can be made: in the penitentiary institution, where convicts have limited rights, it is important to give the right to education, the purpose of which is resocialization of the convict, economic stability of the convict and reduction of recidivism. Although the provision of education for convicts is associated with certain costs, its results carry positive potential and are focused on larger-scale results.

**Key words:** resocialization, recidivism, prevention of new crimes.